

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №19

ქ. თბილისი

28.10.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე; თინათინ ბოჭორიშვილი - შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

აკაკი ხელაძე - შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი"ს სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი;

ქეთევან კოტეტიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორი;

მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დალი კანდელაკი - სსიპ - იაენე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;

კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გიორგი გვალია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;

თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;

გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;

პაატა შურღია - შპს "გრანტ თორნთონის ბიზნეს პროცესების" გადაწყვეტილების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;
პაატა შურღაია - შპს "გრანტ თორნტონის ბიზნეს პროცესების" გადაწყვეტილების
დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:

გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

გიორგი ღვთაძე - რექტორის მოადგილე;

კახა კუპატაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნატო წულუისკირი - ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი;

დავით გეგეჭკორი - საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის
უფროსი;

ირინე ფხაკაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი:

ლევან ტვილდიანი - რექტორი;

ნინო თაბაგარი-ბრეგვაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;

თამარ თალაკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

არსენ დემურაშვილი - ფინანსური მენეჯერი;

ნინო გიორგაძე - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

გიორგი გუგუშვილი - რექტორი;

კახა ტრაპაიძე - კანცლერი;

გივი ყიფიანი - ვიცე-კანცლერი;

ნინო ღალანძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სხვა დამსწრე პირები:

ანა წამალაშვილი - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უნელმძღვანელო საბჭოს თავჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ-თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საბჭოს თავჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ განაცხადა თვითაცილება დაწესებულების მიმართ, ვინაიდან იგი საქმიანობდა აღნიშნულ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ მასალებს.

ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა დაწესებულების რექტორი, დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს რექტორის მიერ გაცემული მინდობილობა უნივერსიტეტის სახელით ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის თაობაზე.

დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება გამოიკვეთა. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო ენობრივი კომპეტენციების საკითხი, რომელიც ასევე დაფიქსირდა ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების ნაწილშიც. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში უცხოენოვანი კომპეტენციების ამაღლების კუთხით იყო ორი ძირითადი მიმართულება: სტუდენტებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა და ხელშეწყობა და თანამშრომლებს შორის ევროპული ენების კომპეტენციების ამაღლება. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გამოაცხადა ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა ორგანიზაციამ „English Book in Georgia“, რომელიც დაწესებულებაში სპეციალური პროგრამით შევიდა. რის საფუძველზეც დაიწყო ინგლისური ენის სწავლება სტუდენტებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვისაც, რომლებიც ცალკე გადამზადდნენ.

დაწესებულის რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტთა გამოკითხვები უკვე ადასტურებდა დაწესებულების წინსვლას ენის კომპეტენციის ზრდასთან მიმართებაში. ამას დაემატა ისიც, რომ უნივერსიტეტმა მოიგო ბრიტანეთი საბჭების გრანტი 100 სტუდენტისთვის, დაწესებულებამ აამაღლა ეროვნულ გამოცდებზე ბარიერი ინგლისურ ენაში, რამაც შეამცირა დაწესებულებაში სტუდენტების ნაკადი, თუმცა ხარისხის ამაღლებას შეუწყო ხელი. გიორგი ღვთაძემ ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავდა თანამშრომელთა უცხოენოვანი კომპეტენციების ამაღლებაზე, რისთვისაც რამდენიმე წელია იზრდება დაფინანსება ამ მიმართულებით. არგუმენტირებული განცხადების წარმოდგენის შედეგად შესაძლებელია თანამშრომლებს დაუფინანსდეთ უცხო ენის სწავლება. ენათა ცენტრი, რომელიც ადრე საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეული იყო საუნივერსიტეტო სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა. ინტერნაციონალიზაციის კუთხით არსებობდა გარკვეული დადებითი ძვრები, უნივერსიტეტმა გაიმარჯვა ერასმუს+ capacity building-ის კონკურსში პროექტით „რეგიონული უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“, რომელიც რეგიონულ უნივერსიტეტებზე აკეთებდა აქცენტს და იგეგმებოდა რეგიონული უნივერსიტეტების ქსელის გაკეთება. ასევე ის უნივერსიტეტები იყვნენ ჩართულები თბილისიდან, რომლებსაც ჰქონდათ ფილიალები რეგიონებში. გარდა ამისა ჩართულები იყვნენ დასავლეთ ევროპის, ცენტრალური ევროპის, აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტ-საბჭოთა სივრცის უნივერსიტეტები. დაწესებულებას ჰქონდა დაახლოებით 9 მემორანდუმი მობილობისთვის, რომელთა რიცხვიც გაორმაგდა. სხვადასხვა ქვეყნიდან სულ უფრო მეტი უნივერსიტეტი ინტერესდებოდა მათთან თანამშრომლობით. უნივერსიტეტი გააქტიურდა საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობის კუთხით. იყო ვიზიტები ჰელსინკში, ბერლინში, ასევე იგეგმებოდა ვიზიტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. დაწესებულება, ასევე ემზადებოდა საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამის განსახორციელებლად. გაიზარდა იმ თანამშრომლების რაოდენობა, რომლებიც ერთვებოდნენ საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში, მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში. ასევე დაწესებულების რექტორის მოადგილემ დაამატა, რომ უნივერსიტეტს თავისი კვლევის სტრატეგიიდან გამომდინარე, აქცენტი ჰქონდა გაკეთებული რეგიონულ კვლევებზე. რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემები მათთვის

ნაცნობი იყო და ძალიან ბევრი პუბლიკაცია იყო სწორედ ამ მიმართულებით. გარდა ამისა, მეორე სტრატეგიული მიმართულება უნივერსიტეტის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე იყო ინტერდისციპლინური კვლევები, რაც დიდი გამოწვევა იყო უნივერსიტეტისთვის და მათი საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. პირველი ნაბიჯი ამ კუთხით იყო ფრიბურგის (შვეიცარია) უნივერსიტეტის და ვარშავის (პოლონეთი) უნივერსიტეტის მონაწილეობით, ასევე ბერლინის (გერმანია) თავისუფალი უნივერსიტეტთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და შესაძლოა ჩართულიყვნენ, შექმნილი დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინური კასტები. დამატებით აღნიშნა, რომ ბევრი პრობლემაა, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა, ეს პრობლემები მრავალწახნაგოვანია და ინტერდისციპლინური კვლევები მნიშვნელოვანია მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად. რექტორის მოადგილემ ასევე დაამატა, რომ ეს სიახლე და გამოწვევა იყო დაწესებულებისთვის და ხდებოდა პირველი ნაბიჯების გადადგმა. ასევე, დაწესებულების მიერ კონრად ადენაუერის ფონდში იყო წარდგენილი დოქტორანტების კოლოქვიუმის იდეა, რომელიც უკვე დაფინანსდა და ზუსტდებოდა დეტალები. პროექტის ფარგლებში დადგგმილი იყო კონფერენციის ჩატარება, რომელიც მიეძღვნებოდა იმას თუ როგორ იყო წარმოდგენილი ადამიანის უფლებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. წინა წლებთან შედარებით გააქტიურებული იყო მუშაობა, თუმცა მაინც არ იყვნენ ბოლომდე კმაყოფილენი დოქტორანტების აქტივობით. მათ შორის რუსთაველის ფონდის პროექტებთან მიმართებით, თუმცა სტუდენტების უცხო ენის დონე საკმაოდ მაღალი იყო. ახალი თაობა უფრო მეტად ევროპულ სამეცნიერო სივრცეზე ორიენტირებული ხდებოდა, რაც ნამდვილად მისასალმებელი იყო. უნივერსიტეტი ცდილობდა მეტად გაეაქტიურებინა სტუდენტები და ჩაერთო სხვადასხვა პროექტში. უნივერსიტეტის მიზანი იყო, რომ უფრო მეტი პროექტი დაფინანსებულიყო და სტუდენტები ყოფლიყვნენ მეტად ჩართულები. თუ სტუდენტი არ იყო ჩართული, პროექტი არ ფინანსდებოდა. დაწესებულებაში მიმდინარეობდა პროექტი „მე-უნივერსიტეტი“, რომლის მიზანი იყო სტუდენტებს მისცემოდა საშუალება, რომ თავიანთი თვალით დანახული პრობლემები არგუმენტირებულად წარმოეჩინათ და მათ გადაჭრაშიც მიეღოთ მონაწილეობა. რამდენიმე საინტერესო კვლევასთან მიმართებით სტუდენტების ინიციატივები უკვე მიღებული იყო, მაგალითად ელექტრონული ჟურნალის წარმოება. სექტემბრის მეორე ნახევარში სამეცნიერო ფესტივალის ფარგლებში ასევე საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს მზის ქალაქის მოდელი, რომელიც განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებაზე იყო დაფუძნებული. რექტორის მოადგილემ, ასევე დაამატა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებით უცხოელი სტუდენტების ჩართულობის ამაღლებაზე. შესაბამისად დაწესებულებამ გადაწყვიტა უცხოელ სტუდენტებზეც გაეცა სტიპენდიები, ასევე მათ მიეცათ საშუალება ემუშავათ დაწესებულებაში სტუდენტური სერვისების მიმართულებით, რამდენიმე უცხოელი სტუდენტი უკვე სტაჟირებას გადიოდა დაწესებულებაში და ეხმარებოდნენ პერსონალს უცხოელ სტუდენტებთან კომუნიკაციაში.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა რამდენი უცხოელი სტუდენტი იყო დაწესებულებაში. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღავთაძემ უპასუხა, რომ დაწესებულებაში 500-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი იყო. ასევე განმარტა, რომ სახელმწიფო

უნივერსიტეტებს სჭირდებათ სახელმწიფოს ნებართვა თუ რამდენ უცხოელ სტუდენტს მიიღებენ წლიურად, ბოლოს მათთვის მინიჭებული 100 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა სრულად აითვისეს და სახელმწიფოსგან კიდევ 100 სტუდენტის მიღების ნებართვაც მიიღეს.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ თუ რა იგულისხმებოდა სახელმწიფოსგან მიღებულ ნებართვაში. დაწესებულების რექტორის მოადგილემ განმარტა, რომ სტუდენტების მოზიდვა ხორციელდებოდა აგენტების საშუალებით, ვინაიდან ასეთი მომსახურების შესაძენად საჭირო იყო ტენდერი, რაც თავის მხრივ პროცესს ართულებდა, სახელმწიფოსგან შეთანხმებულად გამარტივებული წესით ხდებოდა აგენტებისთვის მომსახურების საფასურის გადახდა, ამისთვის კი სახელმწიფოსთან ხდებოდა შეთანხმება მისაღები უცხოელი სტუდენტების რაოდენობაზე.

საბჭოს წევრი, ქეთევან ცხადაძე დაინტერესდა პროცესით და იკითხა, ვის მიერ დგებოდა კვოტა და ხომ არ იყო სახელმწიფოს მხრიდან რაოდენობის განსაზღვრა. პასუხად დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ თვითონ დაწესებულება აგზავნიდა არგუმენტირებულ წერილს რამდენის მიღების სურველი ჰქონდათ ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით და შესაბამისად ხდებოდა შეთანხმება მისაღების სტუდენტების რაოდენობაზე.

საბჭოს თავმჯდომარე, მარიამ დარბაიძე დაინტერესდა, რა ინფორმაციას მოიცავდა დაწესებულების არგუმენტირებული წერილი უცხოელი სტუდენტების მიღების შესახებ და იყო თუ არა განსაზღვრული მიმართულებები, სადაც ხდებოდა სტუდენტების მიღება და იყო თუ არა განსაზღვრული შესაბამისი სამიზნე ნიშნულები. რაზეც, დაწესებულების რექტორის მოადგილემ უპასუხა, რომ ხდებოდა წინა წლის გამოცდილების, ასევე ინფრასტრუქტურული და აკადემიური რესურსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ხდებოდა უცხოელი სტუდენტების რაოდენობის მითითება, რომელიც დაწესებულების პოზიციით შესაძლებელი იყო მიღებულიყო. დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, კახა კუპატაძემ დაამატა რომ დაწესებულება ამზადებდა განაცხადს მოთხოვნასთან დაკავშირებით, ხოლო სამინისტრო აკეთებდა შუამდგომლობას. იყო შემთხვევა, რომ შესაძლებლობა ჰქონდა დაწესებულებას მიეღო 200-250 სტუდენტი, თუმცა გაკეთდა დათქმა 100 სტუდენტზე. როდესაც მიიღებდნენ და გაუკლავდებოდნენ 100 სტუდენტს, შემდეგ განიხილებოდა რაოდენობის გაზრდის საკითხი.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა, მხოლოდ აგენტს მეშვეობით ხდებოდა უცხოელი სტუდენტის მიღება თუ დამოუკიდებლადც შეეძლო სტუდენტს მიემართა უნივერსიტეტისათვის. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს სპეციალური პორტალი, რომელზეც ხდება დარეგისტრირება ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითებით, სადაც სტუდენტებს ეგზავნებოდათ ინფორმაცია ვიდეო გასაუბრების შესახებ, ხდებოდა ამ გასაუბრების ჩაწერა, სადაც მოწმდებოდა სტუდენტების უცხო ენის კომპეტენცია. თუმცა, რექტორის მოადგილემ დაამატა, რომ მხოლოდ ამ ფორმით სტუდენტების მოზიდვის იმედად ვერ იქნება დაწესებულება. აგენტების საშუალებით სტუდენტების მიღება ხდებოდა უფრო ორგანიზებულად, შესაბამისად დაწესებულებას ერჩივნა ეს ფორმა.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა, რა იყო თანაფარდობა აგენტის საშუალებით და გასაუბრების საშუალებით ჩარიცხულ სტუდენტებს შორის. დაწესებულების რექტორის მოადგილემ უპასუხა, რომ თანაფარდობა იყო ერთი ათთან, უმრავლესობა ირიცხებოდა აგენტების საშუალებით.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა რამდენ პროცენტს უზდიდნენ აგენტს თითოეულ სტუდენტს. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ განკარგულების მიხედვით მაქსიმალური პროცენტი შეიძლება იყოს 10, დაწესებულება კი ამ ზღვარის ფარგლებში აგენტებს უზდიდა 9 პროცენტს.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა უცხოელი სტუდენტების სწავლის საფასურით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უცხოელი სტუდენტებისთვის განსხვავებული იყო სწავლის საფასური.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა დაწესებულება უცხოელ სტუდენტებს თუ იღებდა მედიცინის გარდა სხვა პროგრამაზეც და ასევე დაინტერესდა ეთნიკური ქართველებისთვის, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ რა იყო საფასური დაწესებულებაში სწავლისთვის. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ საფასური პროგრამების მიხედვით იყო დაწესებული, ქართულოვან პროგრამაზე სწავლის საფასური დაბალია, უცხოენოვან პროგრამაზე შედარებით მაღალი. ასევე აღნიშნა, რომ ადრე "Study in Georgia"-ს პროგრამის ფარგლებში უცხოელ სტუდენტებს ქართულოვან პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უფინანსდებოდათ სსწავლის საფასური, თუმცა ეს წესი აღარ მოქმედებდა. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტი დაწესებულებამ აიყვანა სტაჟირებაზე, რომელიც საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული პროცესებში.

საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილმა დაინტერესდა „მზის ქალაქის“ მოდელის შეიმუშავების შემდეგ სტუდენტები ხომ არ ფიქრობდნენ „ქარის ქალაქის“ მოდელზე. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძე აღნიშნა, რომ ენერგეტიკის დეპარტამენტის პროფესორები მუშაობდნენ ამ კუთხით, თუმცა ქარის ენერგიაზე მუშაობა საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასებაში საუბარია კურსდამთავრებულთა ქსელზე, თუმცა ამ ქსელის შესახებ არ არის ინფორმაცია ხელმისაწვდომი გარეშე პირებისთვის და ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს რომ წვდომა გაეხადათ ღია. დაწესებულების რექტორის მოადგილე გიორგი ღვთაძე დაეთანხმა და აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულების პოტენციალის გამოყენება არსებითი იყო უნივერსიტეტისთვის მიმდინარე პრობლემების დაძლევაში, რადგან ხშირ შემთხვევაში ისინი იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები. ხშირად ისინი მიმართავდნენ ხოლმე ვაკანსიაზე რეკომენდაციის გაწევის თხოვნითაც. ამ კუთხით გააქტიურების მოტივაცია იყო ის, რომ კურსდამთავრებულები დაეტოვებინათ უნივერსიტეტის წიაღში, რომ არ მომხდარიყო გაუცხოება. დაწესებულება იყო კომპანია მაიკროსოფტის პარტნიორი და ყველა სტუდენტს შეუქმნა კორპორატიული ელ-ფოსტები. კურსდამთავრებულებს ეს

ელ.ფოსტები რჩებოდათ. საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა დაამატა, რომ მისი კითხვა სხვა მნიშვნელობას ატარებდა კურსდამთავრებულთა ქსელთან დაკავშირებით, და ურჩევდა დაწესებულებას რომ სისტემა ყოფილიყო ღია. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჩამოთვლილი ჰქონდა რამდენიმე პრიორიტეტული სამცნიერო კვლევითი მიმართულება, თუმცა ლოგიკური კავშირის დადგენა ამ მიმართულებებს შორის ძალიან ძნელი იყო. მაგალითად, ნეიროფიზიოლოგიასა და ელექტრონულ ბიზნესს შორის. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტებს სთხოვეს პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების გადმოცემა იმისათვის, რომ უნივერსიტეტის საერთო პროფილი ფორმირებულიყო. თითოეულმა ფაკულტეტმა პროფილის ფორმირება კი არ მოახდინა, მისი პროფესორების საკვლევი თემები აღწერა. ამის რეფორმირება და დალაგება ზაფხულში გაკეთდებოდა, რადგან მონიტორინგის კომისიას ელოდებოდნენ. ამ დროისთვის ყველაფრის დამუშავება დასრულებული იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო სტატიის მომზადებისთვის დატვირთვაში იყო 10 საათამდე განსაზღვრული. აკადემიური საბჭოს დადგენილებაში აღნიშნული იყო სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდურ საათები და დაინტერესდა ეს სამეცნიერო-მეთოდური რას გულისხმობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეთოდური მოიხსნა. 500/1000-ზე დარჩა. 500 არის სასწავლო, ხოლო 1000 არის სამეცნიერო. „მეთოდური“ კორექტურა იყო და ამ ეტაპისთვის ჩასწორებული იყო შესაბამისი წესი.

საბჭოს წევრი, ირაკლი ხვთისიაშვილმა შეკითხვა დასვა 1.2 სტანდარტთან დაკავშირებით - ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში იყო ასეთი რეკომენდაცია - „ყურადღება გაამახვილეთ ქმედებათა გაზომვით შედეგებზე, რაც სტრატეგიული გეგმის უფრო ეფექტურ მონიტორინგის საშუალებას მოგცემთ“, ეს რეკომენდაცია დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა, მითითებული იყო, რომ დაწესებულებას შექმნა ინდიკატორების სისტემა და სტრატეგიის დაგეგმვის მეთოდოლოგია, თუმცა 2018-2019 წლების სტრატეგიის მონიტორინგის დოკუმენტში არ იყო მოცემული ინფორმაცია ამ დოკუმენტებზე, ასევე ამ სტრატეგიის დაგეგმარების მეთოდოლოგია არ იყო წარმოდგენილი და არ იკითხა რა მეთოდოლოგია იყო გამოყენებული. დაწესებულების რექტორის მოადგილე, გიორგი ღვთაძე აღნიშნავს, რომ თვლადი ინდიკატორები მომზადდა ფაკულტეტებისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით. გაკეთდა ფორმა რომლის მიხედვითაც მოეთხოვა ყველა სტრუქტურულ ერთეულს. ეს ინფორმაცია აკუმულირებული იქნა და ხდებოდა მისი მობილიზება მონიტორინგისთვის. ერთეულის ხელმძღვანელის მიერ ანგარიშის ჩაბარების დროს გამოყენებულ უნდა ყოფილიყო ეს ინფორმაცია. მთავარი იყო ის, რომ ადრე ინფორმაცია, რომელიც მოდიოდა ფაკულტეტებისგან იყო გაბნეული და ანგარიშების წარმოდგენის შედეგად უფრო იოლი მიმდინარე კონტროლისთვის რამდენად იქნა მიღწეული დაგეგმილი ნიშნულები. ინფორმაცია, რაც მოდიოდა უკვე არის ორგანიზებული სახით, რაც აადვილებდა ანალიზსა და შეჯამებას. იყო შემთხვევები, როდესაც კარგი მაგალითები პრეზენტაციის სახითაც

წარედგინათ ფაკულტეტებს. ირაკლი ხვთისიაშვილი დამატებით იკითხ საუბარი იყო თვისობრივ ინფორმაციაზე და არა კონკრეტულ თვლად ინფორმაციაზე, KPI-ზე არ იყო საუბარი. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ ამის შესახებ იყო საუბარი, თუმცა ჯერ კიდევ არ გაკეთებულა. თვლადი ინდიკატორები შეტანილი იქნა თვითონ ფორმებში. ეცდებოდნენ, რომ უფრო დეტალიზებული გაეხადათ, რომ მიღებული ინფორმაცია უფო სრულყოფილი ყოფილიყო. მეთოდოლოგია ვითარდებოდა ფაკულტეტების მიხედვით. ამ ხალხსაც სჭირდება სრულფასოვანი მომზადება, რომ ამის განხორციელება დაიწყონ ფაკულტეტებში. თუმცა დაწესებულების ბირთვი, რომელიც ახორციელებს, გადის ტრენინგებს, ექსპერტებისა და პროფესიონალების ჩართულობით იქნა შემუშავებული სტრატეგია და ამ მხრივ ხდება განვითარება. ის ცოდნა და გამოცდილება რაც დაგროვდა უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილი განმარტა, რომ მაშინ ეს წინადადება უნდა ყოფილიყო მომავალში და სხვანაირად უნდა ყოფილიყო ფორმულირებული, ვინაიდან ეს იყო მიმდინარე პროცესი.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს თუ როგორი იქნებოდა თვლადი ინდიკატორი მათთვის, რა მაჩვენებლებით იქნებოდა შეფასებული ამ დეპარტამენტის მუშაობა. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით მიმდინარეობდა მუშაობა. მიზანი იყო, რომ მაღალი მაჩვენებელი ყოფილიყო მიღებული ყველა მიმართულებით. პროგნოზს ვერ გააკეთებდა, თუმცა ორი მიმართულებით მუშაობდნენ და შემდეგ იქნება ჩამოყალიბებული ეტაპობრივად, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები. ირაკლი ხვთისიაშვილი დაამატა, რომ თვლადი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლები.

მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა. შესაბამისად, დაინტერესდა რის მიხედვით შეირჩეოდა აკადემიური პერსონალი ამ საბჭოში და როგორ ხდებოდა ამის პრაქტიკაში განხორციელება. დაწესებულების რექტორის მოადგილემ გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭო ირჩევდა აკადემიურ პერსონალს და ასევე ამ საბჭოს წევრებს. ასევე დაწესებულებაში ხდებოდა ურთიერთდასწრება. მათი მიზანი იყო არა ჩასაფრება, არამედ სწავლების ხარისხის ზრდა უნივერსიტეტში და ზოგ შემთხვევაში ეს შეურაცხყოფად იქნა მიღებული. რეზისტენტულობა ლექტორების მხრიდან თავიდან ძალიან მაღალი იყო, თუმცა როდესაც ნახეს, რომ გამოკითხვები უნდა გაკეთებულიყო სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ თავისთვის აქტუალური პრობლემებზე ესაუბრათ. მათთვის ამ საკითხებზე ტრენინგებიც ჩატარდა. როდესაც პერსონალის წარმომადგენლებმა დაინახეს, რომ ეს უკეთესობისთვის კეთდებოდა უფრო მეტი პირი ჩაერთო.

დაწესებულების წარმომადგენელი დაამატა ურთიერთდასწრების პოლიტიკასთან დაკავშირებით. მედიცინაში ინტერგირებულმა კურიკულუმმა საკმაოდ ბევრი ცვლილება შემოიტანა მედიცინის პროგრამების განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდა ეს ბერკეტი, რომ 4 და 5 პროფესორთან ურთიერთდასწრების პოლიტიკა უმტკივნეულოდ განეხორციელებინა. პირველი ორი შემთხვევა ცოტა უხერხულ რეჟიმში მიმდინარეობდა, თუმცა შემდეგ უკვე ურთიერთთანამშრომლურ რეჟიმში წარიმართა.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა დაინტერესდა აკადემიურ დატვირთვისთან დაკავშირებით, კერძოდ პროფესორს და ასოცირებულ პროფესორს ხელშეკრულების მიხედვით ყველას ერთნაირი დატვირთვა ჰქონდა, ასე იყო რეალურად თუ განსხვავებული იყო მათი დატვირთვები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დიფერენცირება ხდებოდა სააუდიტორიო საათებში. პროფესორს 500-დან მოეთხოვებოდა 210 სააუდიტორიო საათი, ასოცირებულს 300 და ა.შ.

საბჭოს წევრი, გიორგი აბრამიშვილი დაინტერესდა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის მდგომარეობით. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღვთაძემ აღნიშნა, რომ ქუთაისში სამუსიკო განათლების დასრულება მისთვის წარმოადგენელი იყო, შესაბამისად უნივერსიტეტი მზად იყო განეხილა ინტეგრაციის საკითხი. მან აღნიშნა, რომ ინტეგრაციისთვის გადაიდგა ყველა ნაბიჯი, მათი აკადემიური პერსონალის ჩართულობით შეიქმნა და აკრედიტაციაზე წარადგინეს პროგრამა. გაფორმდა წინარე ხელშეკრულებები მათთან და პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში მზად იყო უნივერსიტეტი თანამშრომლობისთვის, უნივერსიტეტს გააჩნია ე.წ. კლუბის შენობა, რომლის რეაბილიტაციაზე მოხდებოდა შეთანხმება და სერიოზული ბაზა შეიძლება გაკეთებულიყო. რაც შეეხება დაწესებულებების გაერთიანებას, ეს ორგანიზაციულად უკვე რთული და ნაკლებად შესაძლებელი იქნებოდა, მას შემდეგ რაც ავტორიზაცია უკვე გაიარა უნივერსიტეტმა.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა მიმართავს კითხვით ხომ არ უჩნდებოდათ ასისტენტ-პროფესორებს პროტესტის განცდა, რადგან პროფესორის შუა რგოლი საკმაოდ მტკიცედ იდგა და საკმაოდ ძლიერი პროფესორისგან იყო დაკომპლექტებული. გიორგი ღვთაძემ განმარტა, რომ ატესტაციების ჩატარების შემდეგ ბევრი თანამდებობა გახდა ვაკანტური. იყო შემთხვევები, რომ ღვაწლმოსილ პროფესორებთან ჰქონდათ შეხვედრები და შეთანხმდნენ, რომ მუდმივი ხელშეკრულებები, ხოლო სანაცვლოდ დაწესებულება მიეცემოდა შანსი რომ ახალი კადრები მიეღოთ და დაესაქმებინათ, რაც მცირედით მაგრამ მაინც შეცვალა ასაკობრივი ბალანსი, რაც განსაკუთრებით ჩანს ხოლმე ახალი პროგრამების შემთხვევაში, მაგალითად ინგლისურენოვან ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამას ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ეს პრობლემა ნამდვილად დადგა მაშინ, როცა ასოცირებულ აკადემიურ პერსონალთან ხელშეკრულებები განიხილეს, როგორც უვადო ხელშეკრულებები, თუმცა აღნიშნა, რომ ატესტაციის საშუალებით, ვინაიდან ნაწილი ასოცირებულ პროფესორების პოზიციებისა გახდა ვაკანტური, პირების მათ მიერ დაკავებულ საშტატო პოზიციებთან შეუსაბამობის გამო. ამასთანავე საბჭოების მოთხოვნების საფუძველზე მოუწიათ ვაკანსიების გამოცხადება ასისტენტ პროფესორების ვაკანსიებზე, რომლის საშუალებით ასევე გაიზარდა ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაწესებულებაში.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა დაწესებულების მიერ ადენაურის ფონდის საგრანტო პროექტით. დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ღვთაძემ უპასუხა, რომ საგრანტო პროექტი გულისხმობდა დოქტორანტების მუშაობას სხვადასხვა თემებზე, მათ შორის ინტერდისციპლინურ კვლევებზე. კონფერენციაც ამ პროგრამის ფარგლებში

ჩატარდებოდა და მიედევნებოდა ადამიანის უფლებებს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ფარგლებში. იქნებოდნენ ჩართულები მონაწილეები შვეიცარიიდან, პოლონეთიდან და გერმანიიდან, შესაბამისად იყო საერთაშორისო პროგრამა.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა რამდენი ინტერდისციპლინარული პროგრამა ჰქონდათ, დაინტერესდა ინგლისური ენის ზღვარით და მაგისტრატურის პროგრამებზე თუ ჰქონდათ მოთხოვნა ინგლისური ენის გარკვეულ დონეზე ფლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰქონდათ 3 პროგრამა. ახალი სტანდარტით მათ უნდა ჰქონდეთ B2 დონე, რომ ჩარიცხულიყვნენ სტუდენტები სამაგისტრო პროგრამებზე. სერთიფიკატის არ ქონის შემთხვევაში, უნივერსიტეტი აორგანიზებდა ინგლისური ენის გამოცდას. დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ღავთაძემ აღნიშნა, რომ ინგლისური ენის ცოდნის დონე არ იყო ძალიან მაღალი. შესაბამისად ნელნელა მოხდებოდა ამის განვითარება. ამასთანავე დაწესებულების ჟურნალი შევიდა ებსკოს სამეცნიერო ბაზებში უკვე ერთი თვეა.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს გაწეული სამუშაოსათვის და ჰკითხა ხომ არ ჰქონდათ რომელიმე საკითხის გამოკვლევის მიმართ უკმარობის განცდა ან ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკითხი განხილული იყო სრულყოფილად, მადლობა გადაუხადა საბჭოს მხარდაჭერითვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის 6¹ პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ: 212693049) მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

2. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ მასალებს.

დაწესებულების მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, ნინო თაბარ-ბრეგვაძემ გააკეთა ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში მიმოხილვა. აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უკვე წარმოადგინა სტანდარტული დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია რა გააკეთა დაწესებულებამ თითოეული რეკომენდაციასთან მიმართებით. პირველ სტანდარტთან რეკომენდაციები იყო ყველა პირის ჩართულობასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მისიასა და ხედვის შემუშავებაში, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ მისია ბევრად ადრე შემუშავდა და ამ მისიას აკადემიური საბჭო ასრულებდა, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა რომ საჭირო იყო რაც შეიძლება მეტი ჩართულობა, მათ შორის რევიზორების საკითხში, ასევე სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხში. დაწესებულებამ გაითვალისწინა და ციფრებში რომ აისახოს, სხვადასხვა პროცესებთან მიმართებით, აკადემიური საზოგადოების წევრებთან, ადმინისტრაციასთან და ა.შ. ჯამურად 2018-2019 წლებში ჩატარდა 28 შეხვედრა, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა გათვალისწინებული იყო.

დაწესებულების მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ასევე სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით, რეალისტური სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიასა და მონიტორინგის ეფექტიან სისტემაზე იყო საუბარი. ამასთან დაკავშირებით 12 მიზნად იყო ფორმულირებული სტრატეგიული გეგმა. სამოქმედო გეგმა შესაძლებელი იყო უფრო გამსხვილებულიყო. თუმცა უნივერსიტეტის განვითარებისთვის ამ ეტაპზე ეს 12 აქტივობა იყო ის საბაზო აქტივობები, რომელიც აუცილებელი იყო დაწესებულებისთვის. თითოეული სტრატეგიული მიზანი იყო კოდის მიხედვით მითითებული აქტივობასთან, შესაბამისად რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა მიმართა დაწესებულებას, რომ რეკომენდაცია და მათ არგუმენტები რეკომენდაციის შესრულებაზე განსხვავებული იყო, რეკომენდაციებში აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს რეალისტური სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ანუ SWOT-ს რა მეთოდებით ადგენდნენ, რა მეთოდებით ადგენდნენ შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს და შემდეგ ამის ასხვას როგორ ახდენდნენ გრძელ და მოკლევადიან მიზნებში, ხოლო დაწესებულების პასუხი ეხებოდა სხვა თემატიკას და რამ გამოიწვია ეს არათანხვედრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ავტორიზაციის პერიოდში ჰქონდათ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც თანამშრომლობით პრაქტიკას ემყარებოდა და ლოგიკურ ჩარჩოს მიდგომაზე ადგენდნენ.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხეთისიაშვილმა დაამატა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ SWOT ანალიზი კონკრეტულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით უნდა მომხდარიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაც შეეხებოდა ორგანიზაციული სტრუქტურისა და მენეჯმენტის მოდერნიზაციის დაგეგმვასა და განხორციელებას, კერძოდ მოდერნიზაციასთან დაკავშირებით მათ კონცეპტუალური დოკუმენტი შეიმუშავეს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვასთან მიმართებით, რომელიც დაფუძნებული იყო დეცენტრალიზაციის პრინციპზე. ვინაიდან აკადემიური თავისუფლების და პასუხისმგებლობის დანერგვის თვალსაზრისით საუკეთესო ხელშემწყობი ფაქტორი, სწორედ დეცენტრალიზება იყო. აკადემიურ სივრცეში საშუალო რგოლის მენეჯერთა პასუხისმგებლობა უნდა გაზრდილიყო და ეს ამასაც უწყობდა ხელს. გარდა ამისა ხელს უწყობდა სტუდენტების ჩართულობას. მთავარი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტთა ჩართულობას ყველა საუნივერსიტეტო საქმიანობაში. ამ თვალსაზრისით ბევრს მუშაობდნენ. თვითმმართველობებთან დაკავშირებით გამოცდილება იყო ძალიან პრობლემატური და სწორად დაგეგმვა სჭირდებოდა. არსებობდა თვითმმართველობა დაწესებულებაში და ის იღებდა მონაწილეობას ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში. ასევე არსებობდა თვითორგანიზებული ჯგუფები, რომელთა მუშაობასაც ხელს უწყობდა დაწესებულება. ექსპერტებმაც გააჟღერეს ეს თემა და შესაბამისად ეს ნამდვილად კარგი პრაქტიკა იყო. ისინი უფრო მეტი მოტივაციითა და შემართებით ესწრებოდნენ შეხვედრებს. შესაბამისად შეიქმნა 38 სტუდენტური წარმომადგენლობითი საბჭო მათი ერთმანეთთან კომუნიკაციის გასაზრდელად. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებმა ამ პროცესების დამკრას ძალიან შეუწყო ხელი და ხელშესახები შედეგებიც იყო.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები იქნებოდნენ ამ საბჭოში თუ უცხოელი სტუდენტებიც. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამის დიფერენციაცია არასოდეს ხდებოდა. ორივე სახის სტუდენტი უნივერსიტეტის თანაბრად მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად ენის ბარიერისა, აღსანიშნავი იყო ისიც, რომ სტუდენტები უკვე ახერხებდნენ ერთმანეთთან კომუნიკაციას.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი ასევე დაინტერესდა, სტუდენტებიც თუ წარმომადგენდნენ სამეცნიერო პროექტებს. დაწესებულების ფინანსურმა მენეჯერმა, არსენ დემურაშვილმა აღნიშნა, რომ არ მოდიოდა იმდენი მოთხოვნა სტუდენტების მხრიდან, და ეს ფონდები რჩებოდა აუთვისებელი. ეს ფონდი არსებობდა და კონფერენციებზე წასვლისა და სამეცნიერო პუბლიკაციების ხელშეწყობა ხდებოდა. ასევე სტუდენტები ჩართულები იყვნენ სხვადასხვა კონფერენციებში. გარდა ამისა, ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციები იმართებოდა. შერჩევის პროცედურები იყო ძალიან საინტერესო თემატიკის თვალსაზრისით, სადაც ასევე მონაწილეობას იღებდნენ უცხოელი სტუდენტები.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ დაამატა, რომ კარგი პრაქტიკაა უნივერსიტეტის მიერ ფონდების გამოყოფა პროექტებისთვის, თუმცა დაინტერესდა ეს იყო წამახალისებელი პირადი თანხები თუ თანხები კვლევებისათვის. ასევე დაინტერესდა დისციპლინარული ოფიცრის პოზიციით და მისი საქმიანობით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევითი აქტივობა არ გულისხმობდა მხოლოდ რეფერატის წერას, ეს გულისხმობდა უფრო მეტად ორიგინალურ კვლევებსა და ორიგინალური შედეგებს. ძირითადად ეს ფონდები იხარჯებოდა

კონკრეტული პროექტის განხორციელებაზე და არ ეძლეოდათ სტუდენტებს სტიპენდიის სახით. ასევე ცალკე არსებობდა წახალისების სახით სწავლის საფასურის დაფინანსება. ეს არის ძირითადად კონფერენციებში მონაწილეობისთვის გამოყოფილი თანხები და ა.შ. შეიძლება ნაკლები ყოფილიყო კვლევები, თუმცა აკადემიური კეთილსინდისიერების თვალსაზრისით ნამდვილად არ არსებობდა პრობლემა, ამაში ვერ დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტებს.

დაწესებულება ჩაერთო პლაგიატიზმის პროექტში და ჰქონდათ პოზიტიური შედეგები. დაწესებულებას ჰქონდა ყველა მარეგულირებელი მექანიზმი, გარდა აღმოჩენის პოსტ-ფაქტუმ რეგულაციისა. შესაბამისად, გამოჩნდა სწორედ დისციპლინარული ოფიცრის საჭიროება. ამიტომ ეთიკური კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით მოხდა მისი ამ პოზიციაზე დანიშვნა. პლაგიატის პირველი შემმოწმებელი იყო პროფესორი. რის შემდეგაც აძლევდა რჩევებს სტუდენტს. გარდა ამისა, არსებობდა აკადემიური წერის ფორმალური კურსები, სულ ოთხი კურსი იყო სასწავლო პროგრამის განმავლობაში, ხოლო პლაგიატის შემთხვევებისას ინფორმაცია მიეწოდება დისციპლინურ ოფიცერს. შემდეგ ხდებოდა სტუდენტის დაბარება, რომელიც ან დაეთანხმებოდა შედეგს ან გაასაჩივრებდა. პლაგიატის შემთხვევების აღმოსაჩენად დაწესებულება იყენებდა ტურნიტინის სისტემას.

დაწესებულების წარმომადგენელი გადავიდა შემდეგი სტანდარტის განხილვაზე და აკადემიურ პროგრამებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია, რომ პროგრამას უნდა შეექმნა სწავლისა და სწავლების ისეთი აქტივობები, სადაც სტუდენტებს შეეძლებოდათ შეეთევასებიანათ ცოდნის მიღება, უნარები და დამოკიდებულებები კომპეტენციის დონეზე სასწავლად, ასევე რეკომენდაცია გაიცა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა დიპლომირებული მედიკოსის როგორც ინგლისურენოვან, ასევე ქართულენოვან პროგრამებზე ყოფილიყო. თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ ორივე ენაზე უკვე ჰქონდათ. ასევე რეკომენდაცია გაიცა, რომ განსაზღვრულიყო და შემქნილიყო სოციალური აქტივობები იმგვარად, რომ სტუდენტებს ესწავლად სოციალურ აგენტებად ყოფნა, საზოგადოების ტრანსფორმაცია და სწავლა ისე, რომ შესაბამისობაში ყოფილიყვნენ ჯანდაცვის სექტორების მიზნებთან. ამდენად, მეტი კონტაქტები, კვლევები და სხვადასხვა დამპირავებლებთან და დიპლომირებულ მედიკოსთა სამეცნიერო და პროფესიულ ორგანიზაციებთან და ჯანდაცვის სხვადასხვა გარემოსთან თანამშრომლობა იყო საჭირო. ასევე რეკომენდაცია იყო პროგრამების შემუშავებაში სტუდენტების მეტ ჩართულობაზე. ასევე იყო რეკომენდაცია საზოგადოების მოთხოვნებზე აქცენტირებაზე, რაც საბოლოო ჯამში ძალიან ზოგად დირექტივებს იძლეოდა. შესაბამისად, დაწესებულებამ არა ამ რეკომენდაციების საპასუხოდ, არამედ დაწესებულებისთვის განახორციელა ცვლილებები, მომზადდა, დამტკიცდა და იმპლემენტირებულია დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამული დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარე, მარიამ დარბაიძე დაინტერესდა, როდის გეგმავდა დაწესებულება ახალი სტანდარტით აკრედიტაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ახალი სტანდარტებით უკვე გაიარა PBL-მა აკრედიტაცია, ასევე დამტკიცდა ამ პროგრამისთვის ახალი პროგრამული დოკუმენტი, შეიქმნა სახელმძღვანელო დტსუ-ს პედაგოგებისათვის - „Fundamentals of teaching Activity”.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ კითხვა-პასუხის რეჟიმში გაეგრძელებიათ საკითხის განხილვა. საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, რატომ არ გააპროტესტა დაწესებულებამ რეკომენდაცია კომპეტენციაზე

დაფუძნებულ სწავლებაზე, მითუმეტეს როცა ეს რეკომენდაცია ფაქტობრივად ორ კომპონენტში მეორდება. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს საკითხი იყო განხილული ავტორიზაციის საბჭოზეც. როდესაც შემაჯამებელი დასკვნა მიიღეს და კვლავ იყო ეს რეკომენდაცია ძალიან მოულოდნელი იყო მათთვისაც.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ გაცემული რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანაზე და დაინტერესდა რატომ დაიწერა ეს რეკომენდაცია და რა ვითარება იყო ამ კუთხით დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის გასაკვირი ეს რეკომენდაციაც. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ექსპერტებმა ამის შესახებ ავტორიზაციის საბჭოზე მიიღეს პასუხი. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჰქონდათ OSCE მეან გინეკოლოგიაში, ქირურგიის OSCE ასევე მზადდება. კლინიკური და საკომუნიკაციო უნარების შეფასება ხდებოდა ამ ფორმატში. გარდა ამისა, ამ რეკომენდაციამ დაწესებულებას უბიძგა ერთი მნიშვნელოვანი თემისკენ. ხარისხის შეფასების პროცედურა გამიზნულად ჩატარდა ამის შესახებ, რომელიც დამსაქმებელთა ანალიზს, მათი აზრის გათვალისწინებას და სტუდენტთა შეფასებებსაც. ორი მიმდინარე კვლევა იყო სტუდენტთა თვითშეფასება და შეფასება PBL-ში და ლოპში უნდა იგეგმებოდა ამ კვლევის შედეგები მოხსენებაზე გატანა. კლინიკური განსჯის უნარების შეფასება საქართველოში არც ისე მარტივი პროცესია და გარემოსაც ჰქონდა ზეგავლენა ამ პროცესებზე, შესაბამისად მათი ინტერესი იყო ამის მეტად განვითარება.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა დასვა კითხვა, რომ 21-ე საუკუნემდე მედიცინა სთხოვდა სხვა სფეროებს ტექნოლოგიებს. შემდეგ შეიცვალა და ტექნოლოგიური განვითარება თვითონ კარნახობს ყველა სხვა სფეროს განვითარების მიმართულებებს. რამდენად მზად იყო პროგრამა ამისთვის, რა ტექნიკა და ტექნოლოგიები არსებობდა.

საბჭოს წევრი, რიმა ბერიაშვილი გამოეხმაურა კითხვას და აღნიშნა, რომ მედიცინა ტექნოლოგიურად ვითარდება. მომავალში პატარა ქვეყანას ექნებოდათ მოთხოვნა პირველადი და მეორეული ჯანდაცვის, ხოლო მესამე და მეოთხეული ჯანდაცვა შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს. ამისთვის ცალკეულ ქვეყნებში შეიქმნებოდა ჰაბები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ჰერდის პროექტში იღებდნენ მონაწილეობას. შეიძლება ტექნოლოგიები იყოს ნაჩვენები მეცნიერების მიერ, მაგრამ მედიცინა მაინც გასაზღვრავდა ამოცანას. მომავლის მედიცინაზე ფიქრი რა თქმა უნდა საჭირო იყო ამ სფეროში. ვირჯინიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო ვიზიტით და ისინიც ასეთნაირად თანამშრომლობენ სამედიცინო სკოლებთან. ამაში სწორედ ის ტექნიკური ინტელექტი უნდა ჩაერთულიყო და ყოფილიყო გამოყენებული.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულებას მიმართა კითხვით, რომ რეკომენდებულია ფინანსური დეპარტამენტის გაძლიერება და რეკომენდებულია დაინერგილიყო საშუალო და გრძელვადიანი საბიუჯეტო პროცესი. ეს მოთხოვნა შესრულებული იყო და ამორტიზაცია 576 000 ლარი იყო ბიუჯეტში. ეს ფული რეზერვდებოდა ყოველწელს და რეინვესტირებოდა ხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა, რომ რჩებოდა ეს თანხა კომპანიაში და ხდება რეინვესტირება შვილობილ კომპანიაში.

საბჭოს წევრი, მარიამ დარბაიძე დაინტერესდა რუსთავის საექთნო სკოლით და მისი ფუნქციებით როლით დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რუსთავში სტუდენტური საცხოვრებელი კეთილმოა. ეს იყო გრძელვადიანი გათვლა და კვლევებზე იყო დაფუძნებული. რუსთავში იყო ძირითადი საცხოვრებელი და სასწავლო ბაზაც. ასევე საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა იგეგმებოდა ლისის ტბაზე. დაწესებულებას ჰყავდა 932 სტუდენტი ჰყავთ, მათ შორის 51% არის უცხოელი.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს გაწეული სამუშაოსათვის და ჰკითხა ხომ არ ჰქონდათ რომელიმე საკითხის გამოკვლევის მიმართ უკმარობის განცდა ან ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკითხი განხილული იყო სრულყოფილად, მადლობა გადაუხადა საბჭოს მხარდაჭერითვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის 6¹ პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (ს/კ: 211360203) მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს წევრმა, გიორგი გვალიამ დატოვა სხდომა 17:38 სთ.



3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ მასალებს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ლაღანიძემ წარმოადგინა ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მოკლე მიმოხილვა. მან აღნიშნა, რომ, დასკვნა დაგვიანებით მიეწოდათ. თუმცა დასკვნის მიღებისას უკვე შესრულებული ჰქონდათ რამდენიმე რეკომენდაცია, რადგან დაწესებულებისა და ექსპერტების პოზიცია დაემთხვა. რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს, რამდენიმე რეკომენდაცია ძალიან ხშირად მეორედბოდა, როგორებიცაა ინგლისური ენის ცოდნა, სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის საკითხი, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების საკითხი და სხვა. აღნიშნული იყო მათსავე თვითშეფასებაში, რომ ინგლისური ენის ცოდნა როგორც გასაუმჯობესებელი მხარე იყო მითითებული. თუმცა პოზიცია ცოტა განსხვავებული იყო, რადგან მათ არა მხოლოდ ინგლისურის დონე მიაჩნდათ გასაუმჯობესებელ მხარედ, არამედ ზოგადად უცხო ენების ცოდნა. შეეცადნენ, რომ ეს ამ ანგარიშშიც ასახულიყო. რა საკვირველია ინგლისური არის საერთაშორისო ენა და მასზე ხდება ყურადღების გამახვილება, თუმცა ფიქრობდნენ, რომ არც გერმანული და ფრანგული ჩამოუვარდება. შესაძლოა ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ძალიან კარგად თანამშრომლობდნენ გოეთეს ინსტიტუტთან და DAAD-ის ფონდი გრანტის დაფინანსებული ძალიან ბევრი სტუდენტიც ჰყავთ. ასევე იტალიის საელჩოს ხელშეწყობით იყო იტალიური ენის უფასო კურსები სასწავლო კრედიტებს გარეთ, რამაც იმდენად დიდი დაინტერესება გამოიწვია რომ გადაწყვიტეს კრედიტების ფარგლებში დაემატებინათ იტალიური ენაც. სტუდენტები ან გაცვლითი პროგრამით მიდიოდნენ იტალიის ქალაქებში ან სამაგისტრო პროგრამებზე აგრძელებენ ამ ქვეყანაში სწავლას. რაც შეეხებოდა ინგლისურ ენას, შემუშავდა სამდონიანი (სირთულის მიხედვით) ინგლისურ ენის პროგრამა. ეს პროგრამა შეეხებოდა პედაგოგების გადამზადებას. გარდა არქიტექტურის ფაკულტეტისა, ეს ყველა პედაგოგისთვის იყო ხელმისაწვდომი. არქიტექტურის ფაკულტეტმა ხელშეკრულება დადო „ბრიტანეთის საბჭოებთან“ და იქ მოხდებოდა მათი პედაგოგების გადამზადება.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა ფასიანია თუ არა ეს კურსები. საბჭოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ლაღანიძემ უპასუხა, რომ კურსები სრულიად უფასო იყო და უნივერსიტეტი აფინანსებდა. გარდა ამისა, ასევე იყო 10 კრედიტიანი ინგლისური ენის კურსები. აკადემიურმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ თავისუფალი კრედიტების კალათაში დაემატებინა უცხო ენა.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, ინგლისურ ენას სთავაზობენ მხოლოდ როგორც არჩევით კურსს? დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ლაღანიძემ უპასუხა, რომ 10 კრედიტი იყო სავალდებულო.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, თუ როგორ განისაზღვრებოდა დაწესებულებაში სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე. პასუხად დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ლაღანიძემ განმარტა, რომ ტესტირება კეთდებოდა დონის დადგენისთვის. პროფესიული ინგლისური იყო მაგისტრატურის დონეზე. დაწესებულება ფიქრობდა, რომ შესაძლებელია ყოფილიყო ზღვარი ეროვნულ გამოცდაზე, თუმცა ეს წელი იცვლებოდა ეროვნული გამოცდების ფორმატი, შესაბამისად დაწესებულებამ ვერ გარისკა ეს ყველა ცვლილება ერთიანად.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკიმა იკითხა, იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტს ექნებოდა C1 დონის სერტიფიკატი, თუ იყო რაიმე წესი, რომლის მიხედვით ხდებოდა მისი აღიარება. დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა, ნინო ლაღანიძემ აღნიშნა, რომ სასწავლო დეპარტამენტს ჰქონდა აღიარების მექანიზმები.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა მიმართა დაწესებულებას კითხვით, რომ ძალიან საინტერესო მსჯელობა კონტიგენტის დაგეგმვასთან დაკავშირებით. ნათქვამი იყო, რომ დაწესებულებისთვის უფრო ხელსაყრელი იყო, რომ შემცირებოდა მისაღები კონტიგენტი, იმის ხარჯზე, რომ სახელმწიფოს მიეცა უფლება გაეზარდა სწავლის საფასური, საბჭოს წევრი დაინტერესდა ამ საკითხზე დაწესებულების პოზიციით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ლაღანიძემ აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს დასაბუთებული იქნა, თუმცა პრეისტორია ამ ამბის იყო ის, რომ კულტურის სამინისტრომ მათი წინადადების შემდეგ, რომ გამოეთვალათ რეალური ღირებულება პროგრამისა, პირდაპირ დაავალეს, რომ ამ საკითხზე ემუშავათ. ყველა ტიპიური პროგრამა იქნა აღებული და დაითვალეს ღირებულება. იყო პროგრამები, რომლებიც ეტეოდა 2250 ლარის ფარგლებში. როცა საშუალო ევროპული სტანდარტი იქნა აღებული, როცა მაგალითად მოქანდაკეს ვერ გამოუშვებ დაწესებულებიდან ისე, რომ არაფერი ჰქონდეს ნანახი და ორი აუცილებელი სასწავლო ვიზიტი იქნეს შეტანილი ამ საფასურის ფარგლებში, ან მაგალითად რესტავრაციის პროგრამა, რომელიც არის სრულად ექსკლუზიური რამ, ასევე რესტავრატორის აღზრდა იყო შეუძლებელი თუ პარტნიორ უნივერსიტეტთან არ მოხდა თანამშრომლობა. შესაბამისად, მაგალითად რესტავრაციის პროგრამაზე სწავლის საფასური გამოვიდა 11 000 ლარი. თუმცა კულტურის სამინისტროდან იყო მზაობა, რომ ფინანსურ საკითხს მოაგვარებდნენ. თუმცა როგორ აპირებდნენ ამის გაკეთებას არ იყო ცნობილი. რაც შეეხება სტუდენტების ოპტიმალურ რაოდენობას ამ პირობებში დაფინანსების სისტემა აიძულებდა უნივერსიტეტს მიიღოს უფრო მეტი სტუდენტი. რაც მათი სპეციფიკიდან გამომდინარე არ იყო მისაღები. დაწესებულებაში იყო 1720 სტუდენტი და 2720 იყო სტუდენტების ზღვრული რაოდენობა და არ ფიქრობდნენ ამ რაოდენობის გაზრდაზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებისთვის 800-900 არის სტუდენტების ოპტიმალური რაოდენობა და ხარისხზე ორიენტირებული სწავლებისას მაგალითად ქანდაკების ლექციაზე სტუდენტების ოპტიმალური რაოდენობა არის 5-7. თეორიულ საგნებზე ბევრი სტუდენტი ზის. თუმცა ოსტატი-სტუდენტის დამოკიდებულება და ინდივიდუალური მუშაობა წარმოდგენილია ბევრ სტუდენტში. ძველ თაობაში მინიმალური სახელოსნოები ჰქონდათ სტუდენტებს სახლის პირობებში, თუმცა ახლა ბევრად ურჩევნიათ, რომ იმუშაონ აკადემიაში. განსაკუთრებით დიპლომზე მუშაობისას.

საბჭოს თავმჯდომარე, მარიამ აღნიშნა, რომ ოქმში არის დათქმა, რომ დაწესებულებაში უნდა განხორციელდეს მონიტორინგი, შესაბამისად სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლენს

გამოეთქვათ მათი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ როდესაც ვიზიტი განხორციელდა რეზილიტაციის გეგმით იმ წელს უნდა დამთავრებულიყო შენობა, თუმცა გადაიწია. მომდევნო დაპირების მიხედვით 2019 წლის დეკემბრის ბოლოა დასრულების ვადად მიჩნეული. თუმცა კი უნდა აღნიშნულიყო, რომ აქ იგულისხმებოდა სამშენებლო სამუშაოების მორჩენა და არა სარესტავრაციო სამუშაოების, რომელზეც მათივე მაგისტრები და რესტავრატორები მუშაობდნენ. თუმცა ეს არ შეუშლიდა ხელს სასწავლო პროცესს. რადგან ეს დარბაზები არ ეხებოდა სასწავლო აუდიტორიებს. ასევე, დაამატა, რომ საინტერესო აღმოჩენებმა რესტავრაციის დროს შეაფხრა სამუშაოები, კედლებზე აღმოჩნდა მრავალი შიდა ფენა. ასეთი სამუშაოები ვენეციის კონვენციითაც რეგულირდება. ეს ფრესკები საბოლოოდ აღადგინეს. შენობა იქნა აშენებული 1851 წელს და შენობას აქვს 10 მდე ფენა და იგეგმებოდა 5 მთავარი ფენის შენარჩუნება. სულ ასეთი სამი შენობა არსებობდა საქართველოში, ეს იყო აკადემია, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე და ბორჯომის „ფირუზა“.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ 2020 წლიდან იყო იგეგმებოდა ახალი საკომუნიკაციო ინფორმაციული სისტემის დაგეგმვა და დაინტერესდა რა იგულისხმებოდა ამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არის ორი უმაღლესი ორგანი: აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო და რეკომენდაცია ამ სტანდარტში სწორედ მათგან იყო მიმართული. 2020 წლიდან კი დაგეგმილია ახალი საკომუნიკაციო-ინფორმაციული ელექტრონული სისტემის დანერგვა, რაც კიდევ უფრო ოპერატიულს და ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციას, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ერთდროულად ჩართვას საკითხის განხილვაში და მის დროულად გადაჭრაში.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა პლაგიატის პრევენცია ხელოვნებაში როგორ მოქმედებოდა. დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა, ნინო ლაღანიძემ უპასუხა, რომ მხატვრობაში იოლადაა საქმე, რადგან სახიერებასთან არის საქმე და ძალიან მარტივია.

საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით არქიტექტურა ხელოვნებაა თუ ინჟინერია. დაწესებულების წარმომადგენელი უპასუხა, რომ დღევანდელი ხელოვნება ძალიან სინთეზური გახდა, ზღვარი ფაქტობრივად წარმოუდგენელია. პროგრამაში ძალიან ახლოს იყო ხელოვნებასთან, ეს არასაინჟინრო ნაწილში. დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა, ნინო ლაღანიძემ დაამატა, რომ როდესაც წინა ჩარჩო მტკიცდებოდა, ფაქტობრივად ჩართულები იყვნენ ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტებთან ერთად, რადგან პირველ ვარიანტში ეს იყო აბსოლუტურად ინჟინერია და სადღაც მესამე სვეტში ჩნდებოდა ხელოვნება.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა, თუ სტუდენტის მასალები როგორ ფინანსდება. ნინო ლაღანიძემ აღნიშნა, რომ ახლა ფინანსდება დიპლომი. ეს არის აკადემიის კეთილგანწყობა. ეს არის ფონდები, მოძიებული კოლეგებისგან, ყავთ ასევე რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც აფინანსებს სტუდენტებს. ძალიან ხშირად იყო ფინანსური საკითხი სტატუსის შეჩერების მიზეზი ძირითადად სამოსის დიზაინზე, ამასთან დაკავშირებით გაკეთდა კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ სტუდენტებს ფიზიკურად არ ჰქონდათ ფინანსური საშუალება შეეძინათ მასალა (ქსოვილები და სხვა) სადიპლომო ნაშრომის შესაქმნელად. დღეს აკადემია უზრუნველყოფს სადიპლომო პროდუქტის დაფინანსებას,

ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა რატომ არის ქართული სუფრა ცისფერი. ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ აღადგინეს ტექნოლოგია და აღმოჩნდა, რომ მთელი ამ მრავალფეროვნებიდან სიმბოლური გამოსახულებები, რაც უძველეს საბეჭდავებზე არის, შესრულებული იყო ლურჯი ფერით.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა დაინტერესდა რატომ არ მოახდინეს ქართული სუფრის კომერციალიზაცია და რატომ არ აწარმოებდნენ მას კომერციული მიზნით. აღნიშნო ღაღანიძე აღნიშნავს, რომ რომელიც არის კარგი ხარისხის, ის სწორედ აკადემიის წაემოებულია. პატენტის უფლებას ვერ აიღებდნენ, რადგან არის კულტურული მემკვიდრეობა. წარმოებას ვერ ზრდიდნენ დიდ მასშტაბებზე, რადგან ხელით კეთდებოდა.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს გაწეული სამუშაოსათვის და ჰკითხა ხომ არ ჰქონდათ რომელიმე საკითხის გამოკვლევის მიმართ უკმარობის განცდა ან ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკითხი განხილული იყო სრულყოფილად, მადლობა გადაუხადა საბჭოს მხარდაჭერითვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის 6¹ პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (ს/კ: 203851545) მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭო დასრულდა 18:11 საათზე.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე



მდივანი
ნინო ხოლუაშვილი

